# დადგა საფეხბურთო გაზაფხული

დღეს იწყება სსრ კავშირის 1989 წლის 52-ე ჩემპიონატი ფეხბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 მარტი, შაბათი, 1989 წ.
№ 48 (9967) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რთული პრობლემების წინაშე

**დღეს** ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში დაიწყება საბჭოთა კავშირის მორიგი, 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატი. ეს ტრადიციული დღე დიდად სასიხარულოა გულშემატკივრისთვის და ყველა ის საფეხბურთო მოვლენა, რომელიც წინ უძღოდა ჩემპიონატს — ოსტატთა გუნდების საწვრთნელი შეკრებები, საკონტროლო მატჩები, მოგზაურობა უცხოეთში, ამხანაგური ტურნირები, საქველმოქმედო მატჩები, ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლები და სხვა მათი მსგავსნი, უკანა პლანზე გადადის. დღის წესრიგში დადგა მთავარი: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ჩემპიონატებს, მეფეთა მსგავსად, ნომრები აქვთ, წლევანდელი — ორმოცდამეთორმეტეა.

ვინ მოთვლის წლიდან წლამდე რა თემაზე არ გვილაპარაკია სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ წერილებში, რა სასიხარულო მოლოდინითაც და გარკვეული შიშითაც ხვდებიან ამ სასიხარულო დღეს ფეხბურთის მოყვარულები. და არა მარტო ისინი, ვინც დღენიადაგ სტადიონზე დადის და ტრიბუნების მუდმივი ბინადარია, არამედ სხვებიც, ხალხის დიდი ნაწილი. ჩემპიონატს არ შეედრება არც ერთი სხვა შეჯიბრება, ესაა სეზონის მთავარი მოვლენა, მისი ღერძი, თავი და თავი, ჩემპიონატში ნაჩვენები თამაშით და აქ საბოლოოდ დაკავებული ადგილით იზომება თითოეული გუნდის თამაშის კლასი, მისი ღირსება, ავ-კარგი და ავტორიტეტი.

ალბათ, მკითხველს ისიც მოწყინდა, წლიდან წლამდე როცა ვლაპარაკობთ სწორედ ეს ახალი სეზონიაო მთავარი, სწორედ ახლა, მაინცდამაინც ამ წელს უნდა მოხდეს განუმეორებელი, უმთავრესი ამბები, მაგრამ ალბათ, ეს მართლაც ასეა, ვინაიდან ყოველ ახალ სეზონს გააჩნია თავისი განმასხვავებელი თვისებები, სპეციფიკა, ხდება საინტერესო მოვლენები, ახლაც ასე ვამბობთ, რომ 1989 წელი და მისი საფეხბურთო სეზონი მართლაც გამორჩეულია ყველა დანარჩენისგან.

ან როგორ არ უნდა უწოდო წლევანდელ საფეხბურთო სეზონს გა-

ის. გვ. 2-3 გვ.

## წესდების პროექტის ახალი რედაქცია

**სსრ კავშირის** ოლიმპიური კომიტეტის წესდება მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს — ასეთ დასკვნამდე მივიდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 1988 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა. ამ თემაზე გამართული დისკუსიის ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სტრუქტურული სრულყოფის და მისი შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით აუცილებელია წესდების ახალი რედაქციის მიღება.

ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საკავშირო სპორტული ფედერაციების, მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოჩენილი სპორტსმენები და მწვრთნელები. კომისიამ წარმოადგინა წესდების პროექტის ახალი რედაქცია, რომელიც განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე.

ძირითადში მოწონებული პროექტი განხილვისთვის დაიბეჭდა 1989 წლის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 10 მარტის ნომერში. შენიშვნები და დამატებები შეიძლება გააგზავნოთ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის სამდივნოს სახელზე ასეთი მისამართით: 118971. მოსკოვი, ლუჟნეცკის სანაპირო, 8.

## დღეს, ნახევარფინალში...

**მოსკოვის** უნივერსალურ სპორტდარბაზ „დრუჟბაში“ დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი.

ერთეულ თანრიგში მოასპარეზეთა შორის გამოვლინდა პირველი ფინალისტი. ესაა 18 წლის კიეველი ნატალია მედვედევა, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ქვეყნის მეორე ჩოგანი, ლვოველი ლარისა სავჩენკო — 6:3, 6:2.

მეორე ნახევარფინალი გაიმართება დღეს. თბილისელი ლეილა მესხი (მანამდე მან დაამარცხა მოსკოველი ევგენია მანიუკოვა — 6:2, 7:6) ოდესელ ელენა ბრიუხოვეცს შეხვდება.

## პირველად „დინამოს“ სტადიონზე

**მსოფლიოს** საფეხბურთო სტადიონებზე, მით უფრო ახალი სეზონის გახსნის წინ, სისტემატურად იმართება შოუ და სხვადასხვა აუქციონი, რომელიც ძალიან მოსწონს მაყურებელს.

ეს მიმზიდველი, საინტერესო და სილაღით სანახაობა დღეს პირველად გაიმართება ჩვენს მთავარ სტადიონზე. აუქციონს უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბორის წიფურია. აუქციონზე გაიყიდება დინამოელ ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, წყალბურთელთა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა პირადი სპორტული ნივთები და სამახსოვრო სუვენირები ავტოგრაფებით. აუქციონზე გაიყიდება აგრეთვე საფირმო სპორტული ნაწარმი. სუვენირები, რომელსაც აუქციონზე შეიძენთ, მუდამ შეგახსენებთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარმატებებს — სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში, ქვეყნის თასისა და ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში, მოგაგონებთ ქართველ კალათბურთელთა, წყალბურთელთა და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლების დიდ წარმატებებს როგორც ქვეყნის, ისე ევროპისა და ოლიმპიური თამაშების სარბიელზე. ერთი სიტყვით, დაუვიწყარ სანახაობასთან ერთად თქვენ გეძლევათ დინამოელ სპორტსმენთა პირადი სპორტული ნივთებისა და მათი ავტოგრაფებით დამშვენებული სუვენირების შეძენის შესაძლებლობა.

პირველი აუქციონი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დღეს 16 საათზე დაიწყება. აუქციონში მონაწილეობის ნომრები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის დასავლეთ ტრიბუნის წინ.

## ფედერაციაზე იმსჯელეს

**ჭადრაკის** საკავშირო ფედერაციის მორიგ სხდომაზე საუბარი იყო მსოფლიო ჩემპიონატების ბედზე, რომელიც ყველას გულწრფელად აღელვებს (არის ვარიანტი, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატი დიდოსტატთა საერთაშორისო ფედერაციას გადასცეს. ამ საკითხზე საკავშირო ფედერაციის პოზიცია გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 2 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა). ფიდეს პრეზიდენტის ფ. კამპომანესისა და დიდოსტატთა ასოციაციის ადმინისტრაციული დირექტორის ბ. კოკის მოლაპარაკებამ, რომელსაც მ. ბოტვინიკიც ესწრებოდა, გარკვეული ნაყოფი გამოიღო.

საერთაშორისო ფედერაციას არა აქვს უფლება უარი თქვას მსოფლიო ჩემპიონატზე — ასეთია ეროვნულ ფედერაციათა უმრავლესობის აზრი. შემუშავდა ამ ორგანიზაციათა ურთიერთთანამშრომლობის „შვიდი პრინციპი“. ჭადრაკის საკავშირო ფედერაცია რწმენას გამოთქვამს, რომ ეს ორგანიზაციები საერთო ენას გამონახავენ.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ლ. აბალკინი. მან მსმენელებს მოუთხრო, თუ როგორ მიდის ფედერაციის წესდების პროექტის საბოლოო რედაქციის სამუშაო. მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციებმა თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებანი 20 მარტამდე უნდა წარმოადგინონ.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა „სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსის“ ახალი რედაქცია. სხდომაზე აღინიშნა, აგრეთვე, რომ ამ ზაფხულს კალგარი (კანადა) ბლიცში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაცია, ამასთან დაკავშირებით, მოაწყობს შერჩევით შეჯიბრებას (საკავშირო პირველობას) ხუთწუთიან თამაშში.

გვჭირდება, ძალიან გვჭირდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურული ღონისძიებები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებშიც ხალხით მიიღებენ მონაწილეობას მოსწავლეები და ახალგაზრდები. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ასეთი მასობრივი ღონისძიება, დედაქალაქის სახალხო განათლების სამმართველოს თაოსნობით, ამ დღეებში გაიმართა თბილისის იპოდრომზე.

ასპარეზობა კარგად იყო ორგანიზებული და მონაწილეთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა. ასეთი ღონისძიებები კი მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში არ უნდა იმართებოდეს.



**დავით ყიფიანი:**

# „დინამო“ უკეთ ითამაშებს



**უმაღლესი** ლიგის გუნდები იწყებენ ძნელ მარათონს სსრ კავშირის მორიგ საფეხბურთო ჩემპიონატში. რა სპორტული ფორმით ხვდება იგი სეზონის დასაწყისს, რა ამოცანებს ისახავს გუნდი, რა აწუხებს მის ხელმძღვანელობას? დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა პასუხი გასცა ჟურნალისტებთან გუნდის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე.

მან თქვა, რომ სეზონისთვის მზადება „დინამომ“ გასული წლის 16 დეკემბერს დაიწყო. 10 იანვრამდე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ფიზიკური მომზადების კონდიციების ამაღლებას, შემდეგ გაიმართა საქველმოქმედო მატჩი დასავლეთ გერმანიის „ვერდერთან“, რის შემდეგაც გუნდი მონაწილეობდა ზაარბრიუკენსა და დასავლეთ ბერლინში გამართულ მინიფეხბურთელთა ტურნირებში.

— ამ ტურნეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სეზონისთვის მზადების თვალსაზრისით, — თქვა დ. ყიფიანმა. — კარგი პირობები შეგვიქმნეს, დაგვითმეს ჩინებული მოედნები. თამაშისგან თავისუფალ დროს ინტენსიურად ვვარჯიშობდით, ფეხბურთელები თანდათან შედიოდნენ ფორმაში. 29 იანვარს ლესელიძეში უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ იქ ამინდი გაფუჭდა. ვარჯიში განვაგრძეთ თბილისში, დილმის საწვრთნელ ბაზაზე. ლესელიძეში 9 თებერვალს ჩავედით, როცა იქ უკვე გამოიდარა.

მაგრამ შავი ზღვის სანაპიროზე თბილისის „დინამოს“ სხვა სიძნელეები ელოდა — მრავალი გუნდი, რომელთანაც დაგეგმილი გვქონდა საწვრთნელი მატჩების გამართვა, საზღვარგარეთულ ტურნეში გაემგზავრა, საჩქაროდ გვიხდებოდა სპარინგ-პარტნიორების გამონახვა. ძირითადად პირველი ლიგიდან, თუმცა შევძელით გვეთამაშა ხარკოვის „მეტალისტთან“ და დონეცკის „შახტიორთან“.

როგორც თბილისელთა მწვრთნელი ფიქრობს, ეს აიხსნება იმით, რომ გუნდებს, რომლებიც ემზადებიან სეზონისთვის, უკვე აღარ აკმაყოფილებთ შავი ზღვის სანაპიროზე შექმნილი პირობები. ცუდი მინდვრები, მოუხერხებელი პირობები მათ აიძულებს გაემგზავრონ საზღვარგარეთ. ისეთი ბაზები, სადაც შეიძლება სრულფასოვანი მოსამზადებელი სამუშაოს განხორციელება, ახლა შავი ზღვის სანაპიროზე მხოლოდ მოსკოვის „ლოკომოტივს“ და თბილისის „დინამოს“ აქვთ.

თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა თქვა, რომ მის აღსაზრდელთა უმრავლესობის ტესტირებამ ცხადყო, რომ სეზონის დაწყებისათვის მათ კარგი ფიზიკური მდგომარეობა აქვთ, ინტენსიურმა მეცადინეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. თუმცა, არის ზოგიერთი გამონაკლისიც. მაგალითად, ცხრა დინამოელი მიწვეული იყო ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში და ყველამ როდი მოახერხა დაბრუნებულიყო რიგიანი სათამაშო მზადყოფნით. თითოეულ მათგანს თავისი საზრუნავი აქვს: თედევამა და თეთრაძემ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ იუნიორთა შორის, ახლა სპორტული ფორმის პიკს მიაღწიეს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მათ უმტკივნეულოდ გადაიტანონ გარდაუვალი დაქვეითება, რომელიც შეიძლება მაის-ივნისს დაემთხვეს. ცხადაძე, კეტაშვილი და რევიშვილი 25 დღის განმავლობაში არ იყვნენ გუნდში, მონაწილეობდნენ ინდოეთში ჯავაჰარლალ ნერუს თასის მემორიალში. სამწუხაროდ, ისინი ცუდ ფორმაში დაგვიბრუნდნენ. ამასთან, პირველ ორს მცირე ტრავმებიც აქვს, რევიშვილი კი სუსტი ფიზიკური მომზადების გამო სერიოზულად დაშავდა ლესელიძეში და მაისამდე ვერ გამოვა მოედანზე.

ტრავმით დაბრუნდა ჭაბუკთა ნაკრებიდან იტალიაში გამართული ტურნეს შემდეგ ნემსაძე. სეზონისთვის მომზადების თვალსაზრისით ამ ტურნეს სარგებლობა არ მოუტანია არც მისთვის, არც ქეცბაიასა და დიმიტრაშვილისთვის, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ უცხოეთში.

— ყოველ ნაკრებ გუნდს აქვს თავისი საკუთარი მომზადების გეგმა. შეკრებების, საწვრთნელი თამაშების გამართვის ვადები ყოველთვის ვერ ემთხვევა კლუბების ინტერესებს, — თქვა დ. ყიფიანმა. — იმ ნაკრები გუნდების მრავალ მოგზაურობას კი, რომლებშიც ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიან, უბრალოდ, გასეირნებას ვუწოდებდი. ახლა კი კეტაშვილი და ცხადაძე კვლავ ტოვებენ ჩვენს გუნდს, ისინი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ჰოლანდიაში მიემგზავრებიან.

— ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდაა უმაღლეს ლიგაში, მისი საშუალო ასაკი 21,8 წელია, — თქვა შემდეგ მწვრთნელმა, — ახალგაზრდობასთან ბევრი უნდა ვიმუშაოთ, ეს კი ყოველთვის ვერ ხერხდება. და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები შარშანდელზე უკეთ ითამაშებენ. გუნდში კარგი ატმოსფეროა, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფეხბურთელთა პასუხისმგებლობა, გაუმჯობესდა მათი დამოკიდებულება წვრთნისადმი. რა თქმა უნდა, დღეს „დინამო“ ის გუნდი არ არის, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს ქვეყნის ჩემპიონატის მედლების ან თასის მოპოვებისთვის. მაგრამ კვლავ ვუერთგულებთ ჩვენს ძირითად პრინციპს — რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით მივაღწიოთ რაც შეიძლება კარგ შედეგს, გავახაროთ მაყურებელი ლამაზი თამაშით. დუბლშემადგენლობაში ახლა არიან პერსპექტიული მოთამაშეები 1970-1972 წლებში დაბადებული ჭაბუკები. მაგრამ საჭიროა დრო და მოთმინება, სანამ ისინი სარგებელს მოუტანენ გუნდს.

დ. ყიფიანმა გვითხრა, რომ „დინამო“ უმაღლესი ლიგის ერთადერთი გუნდია, რომლის შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ერთადერთი შევსებაა იაროსლავლის „შინიკიდან“ მოწვეული მეკარე ზ. ხაპოვი. ეს 23 წლის მზარდი სპორტსმენი ადვილად შეეთვისა გუნდს.

სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე შევამოწმეთ ახალგაზრდა მოთამაშეები და ისინი, ვინც ვერ აკმაყოფილებდა დინამოელთა მწვრთნელებს [illegible] მფარველს, თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. სამწუხაროდ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომელთაც მოწვევა [illegible] რესპუბლიკის მთავარ გუნდში, უარი თქვა ამაზე, მათ მშვიდი ცხოვრება ამჯობინეს ფეხბურთის გაცილებით დაბალ ეშელონებში.

— ვფიქრობ, რომ რესპუბლიკაში დროა შეიქმნას ერთიანი საკოორდინაციო ორგანო, რომელიც ხელს მოკიდებს უმაღლესი და პირველი ლიგების კოლექტივების დაკომპლექტების საკითხებს. — განაცხადა დ. ყიფიანმა. — ამ მუშაობაში უთუოდ უნდა მონაწილეობდეს რესპუბლიკის გუნდების ყველა მწვრთნელი და გაითვალისწინონ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის აზრი.

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა თხოვა გულშემატკივრებს გაგებით მოეკიდონ გუნდში ამჟამად მიმდინარე პროცესებს, რომელსაც დრო სჭირდება ჩამოყალიბებისთვის, სამწუხაროდ, მათი ნაწილი აშკარად გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას კლუბისადმი, სტვენით შეხვდა ფეხბურთელებს მინსკელ თანაკლუბელებთან ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას შეუძლია ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს ახალგაზრდა ფეხბურთელებს, დღეს გუნდის მთავარი მიზანია მიაღწიოს იმას, რომ თამაშს სიხარული მოჰქონდეს როგორც თვით ფეხბურთელების, ისე მაყურებლისათვის. „დინამომ“ უნდა ითამაშოს უკეთ და ითამაშებს კიდეც.

(საქინფორმი).

# რთული პრობლემების წინაშე

(დასასრული)

მორჩეული, საგანგებო და, თუ გნებავთ, უნიკალური, როცა სწორედ ახლა, უახლოეს ხანში უნდა შეიქმნას ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კავშირი, ის მთავარი წარმმართველი, უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც უნდა უმეთაუროს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას, სათავეში ჩაუდგეს ხალხისთვის საყვარელ ფეხბურთს. ახლა, როდესაც საყოველთაო ძირეული გარდაქმნის პარალელურად ჩვენში ყველაფერი სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადადის, როცა ეკონომიკას, ბოლოს და ბოლოს, თავისი კანონიერი ადგილი მიენიჭა ჩვენს ცხოვრებაში და უყაირათო ხარჯვა-ფლანგვასაც ბოლო უნდა მოეღოს, როცა ყველამ თავისი თავი უნდა არჩინოს და სხვის შემყურედ არ დარჩეს, როცა ფეხბურთის გუნდმა, თუ კი იგი პატივს სცემს საკუთარ თავსაც და გულშემატკივარსაც, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით უნდა მიიზიდოს მაყურებელი, საფეხბურთო კავშირს საგანგებო, პირველხარისხოვანი როლი და მნიშვნელობა ენიჭება. ის, რომ ჩვენი საფეხბურთო კავშირის პირველი წესდების პროექტი ყველამ ერთსულოვნად დაიწუნა და არ დაამტკიცა, ეს სწორედ იმის გამო მოხდა, რომ მას აკლდა თანამედროვე საფეხბურთო პროფესიონალიზმის საფუძველი, სწორედ ის, რისთვისაც კავშირი ყალიბდება. წესდება არც იურიდიულად, არც პრინციპულად არ იყო დასაბუთებული და მოტივირებული, იგი დილეტანტური, ზერელე იყო და ამიტომაც ყველასთვის ცხადი გახდა მისი ნეგატიური არსი. საფეხბურთო კავშირს ჩვენში ამჯერად სერიოზულად, პროფესიული თვალსაზრისით შეხედეს. მანამდე არსებული ფეხბურთის ფედერაციების მუშაობას, რასაკვირველია, ვერ დავემდურებით. ფედერაციებმა თავის დროზე დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა ფეხბურთის ჩამოყალიბებაში, მის განვითარებაში ჩვენი ხელმძღვანელი სპორტული სახელმწიფო ორგანოების უშუალო წინამძღოლობით და მეთაურობით, მაგრამ ეს იყო უწინ, გარკვეულ ეტაპზე, ახლა კი სულ სხვა, ახალი დრო დადგა, ფეხბურთსაც, ცხადია, ახალი კონკრეტული ხელმძღვანელი, პერსონალური მეთაური და უშუალო პასუხისმგებელი ესაჭიროება. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ძალა მეტად დიდია, ჩვენში საზოგადოებრიობა უზარმაზარ საქმეებს მართავს, მაგრამ საფეხბურთო კავშირს წმინდა პროფესიული, კონკრეტული საქმეები დაევალება, იქ ის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები იმუშავებენ, რომელთა პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მეტი და რთულია, უფრო კონკრეტული, ვიდრე საზოგადოებრივი მუშაკისა, რომლისთვისაც ფეხბურთი მთავარი სპეციალობა და საქმიანობის ძირითადი სფერო არაა.

რა მოვალეობები დაეკისრება ჩვენს საფეხბურთო კავშირს?

უპირველესად: ფეხბურთის, როგორც ნამდვილად სახალხო და ყველაზე პოპულარული, ყველაზე გავრცელებული თამაშის დანერგვა და განვითარება, მასობრიობის სისტემატური ზრდა სოფლად თუ ქალაქად და, რაც მთავარია, ჩვენი საუკეთესო გუნდებისა და ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლება. ჩვენს ფეხბურთელებს, ხომ ხედავთ, როგორი ხალისით იძენენ უცხოეთის საუკეთესო პროფესიული გუნდები, ისინი თავიანთ რიგებში იწვევენ ჩვენს გამოჩენილ ოსტატებს, ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთში რეზერვები არსებობს. მაგრამ ასეთთა რაოდენობა ჯერ კიდევ ცოტაა. უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, საერთაშორისო კალიბრის ოსტატები კიდევ უფრო მეტნი უნდა იყვნენ ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდებში, პერსპექტიულ მოთამაშეებს გზა უნდა მიეცეთ უმაღლესი რანგის ფეხბურთისკენ.

ახალმა საფეხბურთო კავშირმა გაუაჭრით უნდა გააუმჯობესოს საქმიანობა ბავშვთა ფეხბურთში. განა დასამალია, რომ ჭაბუკთა ასაკში ჩვენ ბევრი გვყავს ისეთი პერსპექტიულები, რომელთაგან პირველხარისხოვანი ოსტატები უნდა დადგნენ, მაგრამ ამ ნიჭიერი, საიმედო ჭაბუკი ფეხბურთელებიდან მერე და მერე თითებზე ჩამოსათვლელნი თუ გვრჩებიან.

და ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ ფეხბურთზე. ბავშვთა და ჭაბუკთა შორის მუდამ მოწინავენი ვართ, მუდამ სანაქებო ადგილებზე გავდივართ, მერე კი უყურადღებობისა და მოუვლელობის მიზეზით, თვალთაგან გვეკარგებიან უნიჭიერესი ჭაბუკები. ეტყობა, ვერ გვაქვს საქმე ისე დაყენებული, რომ ყრმობამოთავებულმა ჭაბუკმა უმაღლეს სასწავლებელში ან საწარმოშიც ისეთივე ხალისით ითამაშოს ბურთი, როგორც ბავშვობაში, სათანადო ხელშეწყობაც არა აქვს, მატერიალური დაინტერესებაც აკლია, ამიტომაცაა გუშინდელი პერსპექტიული, სამომავლო ფეხბურთელი სახვალიოდ „ბურთის დევნას“ საქმიანობის სხვა სფეროს რომ ამჯობინებს.

ოსტატთა კატეგორიის გუნდები თანდათან გადადიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, მაგრამ ყაირათიანობა და ორგანიზებულობა არ უნდა მოაკლდეს მასობრივ ფეხბურთსაც: ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს, უმაღლესი სასწავლებლების და სკოლების კოლექტივებს, სადაც ახალგაზრდობა გატაცებით თამაშობს ფეხბურთს. ბოლომდე ყურადღებით და საგულდაგულოდ უნდა მივადევნოთ თვალი ჭაბუკს, რომლისგანაც სახვალიოდ მაღალი კლასის ოსტატს ველით.

ასეთი რთული და მრავალმხრივი ფუნქციები კი სწორედ ჩვენს ახალ საფეხბურთო კავშირს დაეკისრება. აქ უნდა იზრუნონ მწვრთნელთა საქმიანობაზე, მსაჯთა კვალიფიკაციაზე, ფეხბურთელთა ოსტატობის ზრდაზე, ყურადღების მიღმა არც დისციპლინის საკითხი უნდა დარჩეს, ვინაიდან როცა ფეხბურთელი მინდორზე წესრიგს არღვევს, ამისი უშუალო იქო ტრიბუნაზე უკვე უმართავი ხდება. იქ ხულიგნებს უკვე ვეღარ მოერევი...

საფეხბურთო კავშირებს, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში უამრავი საქმე ექნებათ, მათი უპირველესი მოვალეობაა სახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან და კომიტეტებთან ერთად უხელმძღვანელონ საფეხბურთო ცხოვრებას მთელს ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ფეხბურთი საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვს, ამ გარდაქმნის სულისჩამდგმელი კი საფეხბურთო კავშირი უნდა იყოს.

ჩვენ ყველანი მოუთმენლად მოველით სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონატის გახსნას, ყველანი საზეიმო განწყობილებით ვართ მოსილნი, მაგრამ სწორი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სრული ოპტიმიზმით და უტყუარი იმედის თვალით ვუყურებთ ამ ახალ ჩემპიონატს. ჩვენი პირველი გუნდის თბილისის „დინამოს“ ახლანდელი მდგომარეობა გარკვეულ შეშფოთებას იწვევს მის გულშემატკივართა შორის. ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც კოლექტივისგან წავიდნენ გამოცდილი ოსტატები, ჩვენი გუნდი კვალიფიციურ მოთამაშეთა დიდ ნაკლებობას განიცდის, თბილისის „დინამო“, რომელიც ოდესღაც ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი და საყოველთაო ფავორიტი იყო, გუნდი, რომლის რიგებსაც ამშვენებდნენ საერთაშორისო მასშტაბის ოსტატები, იმდენად გაღარიბდა, იმდენად ჩამოქვეითდა, რომ საშუალო დონესაც კი საგრძნობლად ჩამორჩება და ეს უკვე რამდენი ხანია უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გახდა მისი უმთავრესი საზრუნავი. რამდენიმე სეზონია თბილისის „დინამო“ ბეწვის ხიდზე იმყოფება უმაღლეს ლიგაში და მხოლოდ სეზონის დასასრულს, ისიც დიდი გაჭირვებით ახერხებს ადგილის შენარჩუნებას საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში. სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთ მდგომარეობაში ზოგიერთი სხვა ცნობილი გუნდიც იმყოფება, რომელთა დასახელება აქ ზედმეტად მიგვაჩნია, მაგრამ ერთი საქმეა, როცა დაბალ ლიგაში ტაშკენტის „ფახთაქორი“, ან ალმაათის „კაირატი“ გადადის და სულ სხვა, როცა მეორე ეშელონში ინაცვლებს მოსკოვის „სპარტაკი“ ან ცსკა. ფეხბურთში ეს სრულიად სხვადასხვა, განსხვავებული ამბებია, ადვილი შესაძლოა ისე მოხდეს, რომ დაბლა ჩამოინაცვლებ, მერე კი ვერაფრით ვეღარ გაართმევ თავს იქაურ სიძნელეებს და ვეღარ დაიბრუნებ ძველ დაკარგულ ადგილს. ამისი მაგალითებიც საკმარისად იცის საბჭოთა თუ საერთაშორისო ფეხბურთმა.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თბილისის „დინამო“ უმაღლესი და პირველი ლიგების მიჯნაზე იდგეს. თბილისის „დინამო“ ჩვენი ერის სპორტული სიმბოლოა, თაყვანისმცემელი და მხარდამჭერი მას არ აკლია, ამიტომაც კიდევ ერთხელ ყურადღებით უნდა გადავხედოთ ჩვენს საფეხბურთო რეზერვებს და ყველაფერი მივაწოდოთ რესპუბლიკის პირველ გუნდს.

„დინამო“ ოდესღაც იბრძოდა ჩემპიონობისთვის, საკავშირო თასისთვის, ევროპის საკლუბო თასისთვის. მაშინ ეს იყო მისი უპირველესი ამოცანა, ეს ამოცანა ჩვენმა გუნდმა შეასრულა.

შარშან დინამოელთა წინაშე სულ სხვა ამოცანა დაისახა, კერძოდ, ის, რომ მას ადგილი შეენარჩუნებინა უმაღლეს ლიგაში. ეს ამოცანაც შესრულდა, თუმცა კი, მაყურებელი, ფეხბურთის მოყვარული ფრიად უკმაყოფილო დარჩა მისი საბოლოო შედეგით.

ახლა დინამოელთა მთელმა კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელობამ, მთელმა ჩვენმა საფეხბურთო საზოგადოებრიობამ ახალი ამოცანა უნდა დაისახოს და მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოლოს მისი შესრულებისთვის: თბილისის „დინამომ“ გათამაშების ცხრილში უფრო მაღლა გადაინაცვლოს და პირველ ათეულში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოლოს.



გვახსოვს, როცა დინამოელთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ჩვენი გუნდი ჯერ მზად არ არის პირველი სამეულისთვის საბრძოლველად, ბევრნი ამ განცხადებამ არ დააკმაყოფილა. ბუნებრივია: ოპტიმისტი ოპტიმისტია, იგი მაქსიმალისტის პოზიციაზე დგას მუდამ.

მაგრამ საქმეს რეალურად, ობიექტურად უნდა შევხედოთ, მიზანიც რეალური, სწორი დავისახოთ და იმ მიზნის შესასრულებლად ვიბრძოლოთ, რომლის მიღწევაც ძალგვიძს. თბილისის „დინამოს“ ახლანდელ შემადგენლობაში აღარ გვყავს უმაღლესი კლასის ის ოსტატები, რომლებსაც ძალა შესწევდათ ჩემპიონობისთვის საბრძოლველად. გუნდმა ჯერ უნდა პოზიციები გაიმაგროს უმაღლეს ლიგაში, მოთამაშეებმა გამოცდილება შეიძინონ, მომძლავრდნენ, საიმედოდ დადგნენ ფეხზე და შემდგომში, როცა გუნდი ამ უპირველეს ამოცანას შეასრულებს, მას უნდა ახალი სიმაღლეების დაპყრობა მოვთხოვოთ. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თბილისის დინამოელები სწორედ იმ ამოცანისთვის იბრძოლებენ, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ, ერთხელ და სამუდამოდ დაცილდებიან უმაღლესი ლიგის ბოლო ადგილებს, აუტსაიდერთა პოზიციებს, განიმტკიცებენ თავიანთ რიგებს,

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა ● გათამაშების კალენდარი, I წრე ●

ური
მარტი, შაბათი

ამირი“ (დუშანბე) — „როტო-
(ვოლგოგრადი)
ნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
ეტალისტი“ (ხარკოვი)
ერნომორეცი“ (ოდესა) —
რპედო“ (მოსკოვი)
ახტიორი“ (დონეცკი) — „ლო-
ტივი“ (მოსკოვი)
რატი“ (ერევანი) — „დინამო“
კი)
ინამო“ (თბილისი) — „დინა-
(კიევი).

არტი, ორშაბათი

პარტაკი“ (მოსკოვი) — „ჟალ-
სი“ (ვილნიუსი)
მარტი, სამშაბათი
ინამო“ (მოსკოვი) — „ზენი-
(ლენინგრადი)

ტური
არტი, პარასკევი

პარტაკი“ — „დინამო“ მნ.
რარატი“ — „დინამო“ კ.

არტი, შაბათი

ნეპრი“ — „ზენიტი“
ინამო“ მ. — „მეტალისტი“
ამირი“ — „ტორპედო“
ერნომორეცი“ — „როტორი“
ახტიორი“ — „ჟალგირისი“
ინამო“ თბ. — „ლოკომოტივი“

ტური
არტი, პარასკევი
ენიტი“ — „შახტიორი“
მარტი, კვირა
ალგირისი“ — „პამირი“
ინამო“ მნ. — „დინამო“ მ.
ორპედო“ — „სპარტაკი“

ნ თამაშს, საიმედოდ მიალ-
ვრილის შუაგულს და მე-
წინაში შეიძლება ახალი
დავსახოთ. ბუნებრივია,
ბა ძველი, დაკარგული პო-
ს აღდგენა, თამაშის ტექ-
და ტაქტიკის ამაღლება, შე-
კვეთრი გაუმჯობესება.
ისის „დინამო“ კვლავ თბი-
„დინამოდ“ უნდა იქცეს!
ზე მეტია ამ გუნდს საკავ-
ო საერთაშორისო ასპარე-
ლოვნად მიაქვს ქართული
თის დროშა. ფეხბურთე-
ლები არიან თავდაუზო-
ბრძოლონ სწორედ იმ ავა-
დასაბრუნებლად, რომე-
მათ ეკავათ ადგილი, ჩვენი
უმაღლესი ლიგის გუნდე-
თბილისის „დინამო“ იმით
დება, რომ ძირითადად სა-
საქართველოში აღზრდი-
გამოწრთობილი რესურსე-
რსებობს. სულ რამდენიმე,
ჩამოსათვლელი შემთხვევა
როცა სხვა რესპუბლიკე-
მოწვეულია მოთამაშეები.
ლისის „დინამოს“ ბედნიე-
კალური სპეციფიკაა და თუ
„ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუ-
ასე უნდა იყოს მომავა-
ად და მარადის. ჩვენი თა-
ვე უნდა ვირჩინოთ, ეს კი
ბი და ბავშვებთან მომუ-
ვრთნელებისგან მოითხოვს
ის გაუმჯობესებას, სასელე-
აქშიანობის გამოკეთებას.
ოთი ეროვნული საქმეა, ამი-
მას სწორედ ერისკაცებმა
იხედონ.
საკავშირო ჩემპიონატი
წყება, ფავორიტებად ასა-
დნეპროპეტროვსკის
ს“, კიევის „დინამოს“, მო-
„სპარტაკს“, მოსკოვის „ტო-
“... თბილისის „დინამოს“
ნზე აღარავინ ლაპარაკობს.
ენიცაა და შეურაცხმყოფე-
ფეხბურთი ჩვენი სიამაყეა,
აც იგი ყველას საზრუნავია.
ფეხბურთში მომუშავე სპე-
ტებიდან დაწყებული მაყუ-
ამდე — უნდა იზრუნოს
ის „დინამოს“ დიდების აღო-
სთვის.
თა კავშირის ჩემპიონატი
ლევი და ურთულესი შე-
ა. მის თითოეულ მატჩს სა-
საგანძურ ჟრულისყურით
ით, თბილისის „დინამომ“
შეასრულოს თავისი ვალი
ატკივართა წინაშე, ვალი კი
ს.
ტებას ვუსურვებთ ჩვენს

„როტორი“ — „დინამო“ თბ.
„მეტალისტი“ — „არარატი“

**27 მარტი, ორშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „ჩერნომორე-
ცი“
„დინამო“ კ. — „დნეპრი“

**IV ტური**
**30 მარტი, ხუთშაბათი**

„ჟალგირისი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ მნ. — „პამირი“
**„ტორპედო“ — „დინამო“ თბ.**
„როტორი“ — „სპარტაკი“
„მეტალისტი“ — „შახტიორი“

**31 მარტი, პარასკევი**

„დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“
„ლოკომოტივი“ — „დნეპრი“

**1 აპრილი, შაბათი**

„ზენიტი“ — „არარატი“

**V ტური**
**4 აპრილი, სამშაბათი**
„სპარტაკი“ — „ზენიტი“
**„დინამო“ თბ. — „მეტალისტი“**

**5 აპრილი, ოთხშაბათი**

„დინამო“ მ. — „ლოკომოტივი“
„პამირი“ — „დინამო“ კ.
„დნეპრი“ — „ჟალგირისი“
„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ.
„შახტიორი“ — „ტორპედო“
„არარატი“ — „როტორი“

**VI ტური**
**8 აპრილი, შაბათი**

„სპარტაკი“ — „მეტალისტი“

**9 აპრილი, კვირა**

„დინამო“ მ. — „დინამო“ კ.
„პამირი“ — „ლოკომოტივი“
„დნეპრი“ — „დინამო“ მნ.
„ჩერნომორეცი“ — „ჟალგირისი“
„შახტიორი“ — „როტორი“
„არარატი“ — „ტორპედო“
**„დინამო“ თბ. — „ზენიტი“**

**VII ტური**

**14 აპრილი, პარასკევი**

„ტორპედო“ — „დნეპრი“
„როტორი“ — „დინამო“ მ.

**15 აპრილი, შაბათი**

„ლოკომოტივი“ — „არარატი“
**„ჟალგირისი“ — „დინამო“ თბ.**
„დინამო“ კ. — „სპარტაკი“
„დინამო“ მნ. — „შახტიორი“
„ზენიტი“ — „პამირი“
„მეტალისტი“ — „ჩერნომორე-
ცი“

**VIII ტური**
**18 აპრილი, სამშაბათი**

„ტორპედო“ — „დინამო“ მ.

**19 აპრილი, ოთხშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“
„ჟალგირისი“ — „არარატი“
„დინამო“ კ. — „შახტიორი“
**„დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ.**
„როტორი“ — „დნეპრი“
„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“.
„მეტალისტი“ — „პამირი“

**26 აპრილი, ოთხშაბათი**

სსრ კავშირი (ნაკრები) — გდრ (ნაკრები). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი).

**სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშება მეოთხედფინალი**

**„დინამო“ თბ. — „სპარტაკი“**

**29 აპრილი, შაბათი**
„დნეპრი“ — „დინამო“ მნ.

„ტორპედო“ — „შახტიორი“
**„დინამო“ ქ. — „ტორპედო“ (ქუთაისი)**
„როტორი“ — „ზენიტი“ (ჩემპიონატის მე-10 ტურის მატჩი).

**IX ტური**

**2 მაისი, სამშაბათი**

„პამირი“ — „ჩერნომორეცი“
„ლოკომოტივი“ — „ჟალგირისი“
„სპარტაკი“ — „არარატი“

**3 მაისი, ოთხშაბათი**

„ტორპედო“ — „როტორი“
„მეტალისტი“ — „ზენიტი“
„დნეპრი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ მნ. — „დინამო“ კ.
**„დინამო“ თბ. — „შახტიორი“**

**10 მაისი, ოთხშაბათი**

თურქეთი (ნაკრები)— სსრ კავშირი (ნაკრები). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.



**X ტური**

**13 მაისი, შაბათი**

„დინამო“ მ. — „პამირი“

**14 მაისი, კვირა**

„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“
„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“
„ტორპედო“ — „მეტალისტი“
„შახტიორი“ — „სპარტაკი“
**„არარატი“ — „დინამო“ თბ.**

**15 მაისი, ორშაბათი**

„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“

**19 მაისი, პარასკევი**

**სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშება ნახევარფინალური მატჩები**

„ზენიტი“ — „ჟალგირისი“ (ჩემპიონატის მე-13 ტურის მატჩი).

**XI ტური**

**23 მაისი, სამშაბათი**

„დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“

**24 მაისი, ოთხშაბათი**

„პამირი“ — „დნეპრი“
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მნ.
„ჟალგირისი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „ტორპედო“
„არარატი“ — „შახტიორი“
**„დინამო“ თბ. — „სპარტაკი“**

**31 მაისი, ოთხშაბათი**

სსრ კავშირი (ნაკრები) — ისლანდია (ნაკრები). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.

**XII ტური**

**4 ივნისი, კვირა**

„სპარტაკი“ — „პამირი“

**5 ივნისი, ორშაბათი**

„დნეპრი“ — „შახტიორი“

**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ.**
„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“
„როტორი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „დინამო“ მნ.
„მეტალისტი“ — „ჟალგირისი“

**6 ივნისი, სამშაბათი**

„დინამო“ მ. — „არარატი“

**XIII ტური**

**9 ივნისი, პარასკევი**

**„პამირი“ — „დინამო“ თბ.**
„დნეპრი“ — „სპარტაკი“
„ტორპედო“ — „დინამო“ კ.
„როტორი“ — „ლოკომოტივი“
„მეტალისტი“ — „დინამო“ მნ.

**10 ივნისი, შაბათი**

„დინამო“ მ. — „შახტიორი“
„ჩერნომორეცი“ — „არარატი“

**XIV ტური**

**14 ივნისი, ოთხშაბათი**
„ლოკომოტივი“ — „მეტალისტი“

**15 ივნისი, ხუთშაბათი**

„ჟალგირისი“ — „როტორი“
„დინამო“ კ. — „ზენიტი“
„დინამო“ მნ. — „ტორპედო“
„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“
„შახტიორი“ — „პამირი“
„არარატი“ — „დნეპრი“
**„დინამო“ თბ — „დინამო“ მ.**

**XV ტური**

**19 ივნისი, ორშაბათი**

„ჟალგირისი“ — „ტორპედო“
„დინამო“ კ. — მეტალისტი“
„დინამო“ მნ. — „როტორი“
„სპარტაკი“ — „დინამო“ მ.
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“
„არარატი“ — „პამირი“
**„დინამო“ თბ. — „დნეპრი“**

**20 ივნისი, სამშაბათი**

„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“

**24 ივნისი, შაბათი**

„მეტალისტი“ — „როტორი“ (მე-11 ტურის მატჩი)
„ჟალგირისი“ — „ზენიტი“ (23-ე ტურის მატჩი)

**25 ივნისი, კვირა**

**სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშება**

**ფინალური მატჩი**

**29-30 ივნისი, ხუთშაბათი-პარასკევი**

**სსრ კავშირის 1989-90 წლების თასის გათამაშება მეთექვსმეტედფინალის მატჩები**

• • •

**სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშება**

**III ტური**

**21 მარტი, სამშაბათი**

„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“
„ზენიტი“ — „არარატი“
„დინამო“ კ. — „შახტიორი“

**22 მარტი, ოთხშაბათი**

„დნეპრი“ — „როტორი“
„ტორპედო“ — „დინამო“ მ.
„ჩერნომორეცი“ — „მეტალისტი“
„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“
**„დინამო“ თბ. — „პამირი“**

# ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**წლეულს**, 11 იანვარს, „ლელოში“ დაიბეჭდა სსრ კავშირის 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის, საფეხბურთო კავშირის თასის, საბჭოთა კავშირის თასის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ნაკრების ამხანაგურ და ოფიციალურ შეხვედრათა კალენდარი.

მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შემდგომში ცვლილებები შეიტანა კალენდარში, ამიტომაც უმაღლესი ლიგის გუნდების 1989 წლის კალენდარს ვაქვეყნებთ ხელახლა. გარდა ამისა, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ჯიბის კალენდრები, რომელშიც ამ ცვლილებების შეტანა არ მოესწრო. გულშემატკივრებს ვთხოვთ, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ახალი კალენდრის მიხედვით შეასწორონ ამ წიგნაკის კალენდარიც, სადაც რამდენიმე ცვლილებაა შესატანი. ცვლილებები არ ეხება მოთამაშე გუნდების წყვილებს, შესასწორებელია მხოლოდ მატჩების ჩატარების რამდენიმე თარიღი.

# მწვრთნელები, კაპიტნები...

**თავისი** ხანგრძლივი არსებობის მანძილზე თბილისის „დინამოს“ მრავალი ხელმძღვანელი, მრავალი შინაური თუ მოწვეული მწვრთნელი ჰყოლია, ბევრ გამოჩენილ ფეხბურთელს გამოუყვანია გუნდი მწვანე მინდორზე ხელზე კაპიტნის სახვევით.

ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულს დააინტერესებს ვინ როდის ედგა სათავეში ჩვენს გუნდს და ვინ იყო მისი კაპიტანი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში. რა თქმა უნდა, ლაპარაკია ოფიციალურად დამტკიცებულ მწვრთნელებზე და კაპიტნებზე, ვინაიდან ასეთთა მოვალეობა სხვადასხვა დროს ბევრ სხვასაც შეუსრულებია.

**მწვრთნელები**

| | |
|---|---|
| 1936-1939 წ.წ. | ა. ა. ხოკოლოვი |
| 1939-1940 | მ. პ. ბუტუსოვი |
| 1941 | პ. პ. ფილიპოვი |
| 1945 | ა. მ. გალპერინი |
| | ა. დ. ჟორდანია |
| 1946 | მ. პ. მინაევი |
| | შ. ი. შავგულიძე |
| 1947 | ა. დ. ჟორდანია |
| 1948 | მ. ი. ბერძენიშვილი |
| 1949 | მ. პ. მინაევი |
| 1949-1950 | ა. ა. სოკოლოვი |
| 1950-1953 | მ. ი. იაკუშინი |
| 1953-54 | ბ.ს. პაიჭაძე |
| 1955 | ა. დ. ჟორდანია |
| 1956-1957 | გ. ი. ჭეჭელავა |
| 1958 | ვ. ნ. სოკოლოვი |
| 1959-1961 | ა. დ. ჟორდანია |
| 1961-1962 | ა. ნ. ლოლობერიძე |
| 1963-1964 | მ. ი. იაკუშინი |
| 1964-1965 | გ. დ. კაჩალინი |
| 1966 | ა. პ. კოტრიკაძე |
| 1967-1968 | ვ. დ. სოლოვიოვი |
| 1969-1970 | გ. დ. ჩოხელი |
| 1971-1972 | გ. დ. კაჩალინი |
| 1973 | ა. პ. კოტრიკაძე |
| 1974 | გ. დ. ჩოხელი |
| 1974-1975 | მ. ი. იაკუშინი |
| 1976-1983 | ნ. ფ. ახალკაცი |
| 1983 | დ. დ. ყიფიანი |
| 1985 | ნ. ფ. ახალკაცი |
| 1986 | ქ. შ. ახათიანი |
| 1987 | გ. ს. ზონინი |
| 1988 | დ. დ. ყიფიანი |

**კაპიტნები**

| | |
|---|---|
| 1936-1940 | შ. ი. შავგულიძე |
| 1941-1946 | ბ. ს. პაიჭაძე |
| 1947-1948 | გ. ი. ჭეჭელავა |
| 1949-1950 | ბ. ს. პაიჭაძე |
| 1951-1960 | ა. ნ. ლოლობერიძე |
| 1961-1966 | შ. დ. იამანიძე |
| 1967-1971 | ს. კ. მეტრეველი |
| 1971-1975 | მ. კ. ხურცილავა |
| 1975 | ზ. კ. ებრალიძე |
| 1976 | ვ. ვ. ჟელიძე |
| 1976-1980 | მ. დ. მაჩაიძე |
| 1980-დან 1985-მდე | ა. გ. ჩივაძე |
| 1985 | ო. ა. გაბელია |
| 1986 | ა. გ. ჩივაძე |
| 1988 | თ. გ. სულაქველიძე |
| 1988 | ო. ა. გაბელია |

## სათადარიგო შემადგენლობა დღეს ითამაშებს

**კიევის** „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, მისივე თხოვნით, თბილისში მხოლოდ 11 მარტს ჩამოდის, ამიტომ როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო შემადგენლობები დღესვე ჩაატარებენ შეხვედრებს. დუბლიორთა მატჩი გაიმართება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე.

დასაწყისი 14 საათზე.

## ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ დაამტკიცა მოთამაშეთა ახალი გადასვლები ოსტატთა კლუბებში. ერევნის „არარატის“ ცენტრალური მცველი ა. სარქისიანი და ლენინგრადის „ზენიტის“ თავდამსხმელი ო. სალენკო ითამაშებენ კიევის „დინამოში“.

სპორტტექნიკური კომისიის ეს დადგენილება უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა, რომლის სხდომა შედგება 15 მარტს. ამიტომ ზემოაღნიშნული ფეხბურთელები პირველ ტურში ვერ ითამაშებენ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სამი ქულა — ლენინგრადიდან

**7-8 მარტს** ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**რიგა.** ვეფ-მა რომ პირველი მატჩი მოუგო დონეცკის „შახტიორს", მკითხველებმა უკვე იციან, რიგის კალათბურთელებმა მეორე შეხვედრაც კარგად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 97:84 (44:40).

**კიევი.** ადგილობრივი „სტროიტელი" არც თუ უსაფუძვლოდ აცხადებს პრეტენზიას ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ კიევის კალათბურთელთა პირველი შეხვედრა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ წარმომადგენელ ალმა-ათის არმიელებთან. „სტროიტელმა" ეს ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო — 115:87 (54:34). მაგრამ ალმაათელებმა მეორე შეხვედრაში დაამტკიცეს, რომ მათაც საპრიზო ადგილზე გასვლის საკმაოდ რეალური საფუძველი აქვთ. განმეორებითი მატჩი სტუმრებმა მოიგეს 116:110 (64:47).

**კაუნასი.** „ჟალგირისმა" ორივე კალენდარული მატჩი მოუგო მოსკოვის „დინამოს" 99:86 (48:47) და 115:104 (45:61). როგორც ხედავთ, მეორე შეხვედრის პირველი 20 წუთი „დინამომ" 16 ქულით მოიგო და ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ „ჟალგირისმა" საბონისის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გადაირჩინა თავი. (მან თავის კოლექტივს 53 ქულა შესძინა).

**ლენინგრადი.** თბილისის „დინამომ" ადგილობრივ „სპარტაკს" პირველი შეხვედრა მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოუგო (96:87), თუმცა კი პირველ ტაიმში წინ იყო 14 ქულით (49:35). მეორე მატჩში ნევისპირელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 104:72 (44:42), მაგრამ აქ ბრძოლის ბედი ბოლო 20 წუთში გადაწყდა.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 10 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 34 | 21 | 13 | 55 |
| ასკ (ალმა-ათა) | 32 | 21 | 11 | 53 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 26 | 24 | 2 | 50 |
| ცსკა | 29 | 20 | 9 | 49 |
| „სტროიტ." (კ.) | 26 | 21 | 5 | 47 |
| „დინამო" (თბ.) | 34 | 13 | 21 | 47 |
| „კალ." (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| „სტატ." (ვილნ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| ვეფ (რიგა) | 35 | 6 | 29 | 41 |
| „სპარტ." (ლენ.) | 32 | 7 | 25 | 39 |
| რტი (მინსკი) | 26 | 11 | 15 | 37 |
| „შახტ." (დონ.) | 28 | 7 | 21 | 35 |

# მიშიკო მაჩაბელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



90 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი, გამოჩენილი მოჭიდავე მიშიკო მაჩაბელი.

ძველი თაობის ხალხისთვის იგი მუდამ მიშიკო მაჩაბელი იყო — ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი, ენაწყლიანი მოსაუბრე, ალალმართალი მეგობარი და სოფლის თავკაცი, რომლის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა.

ახალგაზრდებისთვის კი იგი პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის მამა გახლდათ, რომელმაც ეროვნული საჭიდაო სკოლის მდიდარი გამოცდილება უხვად დაანათლა თავის ვაჟს. მაჩაბლის გვარი მან თავისი ძველი მეგობრის პატივსაცემად მიიღო, თორემ თვით ციმაკურიძე გახლდათ.

ოჯახის ხელმოკლეობის გამო მიშიკო მაჩაბელი ადრევე წასულა თავის სოფელ ობჩიდან და არმავირში შეჰკედლებია ბიძას. აქ იგი პირველ გიმნაზიაში სწავლობდა და თავისუფალ დროს, გასართობად ჭიდაობდა. მაგრამ ჭაბუკმა სულ მალე გამოიჩინა თავი და სასწავლებლის ფალავანი გახდა.

1916 წელს არმავირს პროფესიონალ მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი სწვევია. მიშიკო ყოველდღე დადიოდა ცირკში, აკვირდებოდა გამოჩენილ ოსტატთა ჭიდაობას, მანერებს, ზოგი რამ მოსწონდა, ზოგიც—არა და ბოლოს ერთ-ერთი მათგანის გამოწვევა გადაწყვიტა. არჩევანი ჩუკლავაზე შეაჩერა, ფიზიკურად ძლიერ, თითქმის ორმეტრიან ყმაწვილზე, ქართველმა ფალავანმა იგი სამ წუთში დაამარცხა. ეს იყო მიშიკო მაჩაბლის პირველი საჯარო დებიუტი სარბიელზე.

1918 წელს როგორც მოხალისემ მონაწილეობა მიიღო პიატიგორსკის უძლიერეს ფალავანთა ტურნირში. აქაც ისახელა თავი და ბაქოში გაემგზავრა „ცირკ-მოდერნში" საასპარეზოდ. 19 წლის მოჭიდავისთვის ეს ტურნირი დიდი გამოცდა იყო, ვინაიდან ბაქოს ცირკში მაშინ საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები ზაიკინი, ვახტუროვი, ბული, რაგო, კანდეიგი და სხვები გამოდიოდნენ. მიშიკო მაჩაბელმა აქაც მოხიბლა ყველა თავისი ოსტატობით და უძლიერესთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაისაკუთრა.

20-იანი წლების დასაწყისში უკვე სახელმოხვეჭილი ფალავანი სამშობლოში ბრუნდება და საქართველოს ქალაქებში საჩვენებელ გამოსვლებს აწყობს. მაგრამ მკლავის ძალა ისევ რუსეთისკენ მოუხმობდა, სადაც თავის გამოჩენაც უფრო შეიძლება და ღირსეული მეტოქეებიც მრავლად ეგულებოდა.

...ასტრახანის ცირკში ადგილობრივმა ქართველობამ მიშიკოს პატივსაცემად შედუდუკეთა დასტა დაიქირავა. მაჩაბელმა გაამართლა მათი ნდობა და ბევრი სახელიანი ფალავანი დასცა ძირს (მათ შორის რაგო, შმიდტი, ნელსონი, ერშაკოვი, ანდერსენი და ვილსონი). მერე ორენბურგში გადავიდა და ადგილობრივი მაყურებლების საყვარელ მოჭიდავეს ალი მუჰამედს უმოწყალოდ გაუსწორდა. ხალხმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მიშიკოს ობსტრუქცია მოუწყო. იგი იძულებული გახდა ჩუმად გაპარულიყო ქალაქიდან.

ტრიუმფული იყო მისი გამოსვლები მოსკოვის ცირკშიც, რომელიც ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მოსკოველები მოიხიბლნენ ქართველი მოჭიდავის დახვეწილი ოსტატობით, მკლავისა და მუხლის ძალით. პრესამ მაღალი შეფასება მისცა მის გამოსვლებს.

მიშიკო მაჩაბელმა ამის შემდეგაც მოიარა სამხრეთ რუსეთის ქალაქები, იყო შუა აზიაშიც და ყველგან ღირსეული ფალავნის სახელი დატოვა. 1929 წლიდან საქართველოში დასახლდა სამუდამოდ, ერთხანს კიდევ ჭიდაობდა, მერე კი სპეციალობით დაიწყო მუშაობა...

მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე კაცს ამაგი დაუფასეს. 1981 წელს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. იმავე წელს მან საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელი მიიღო, 1986 წელს კი მაიაკოვსკის რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ქართველ ვეტერან სპორტსმენთა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი კაცი გამოაკლდა...

**ამხანაგების ჯგუფი.**




**შესანიშნავი** საჩუქარი მოუმზადა თბილისის „დინამოს" სტადიონის ხელმძღვანელობამ ფეხბურთის გულშემატკივრებს — თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩთან დაკავშირებით გამოვიდა 32-გვერდიანი საფეხბურთო პროგრამა, რომელიც მოწონებას იმსახურებს იმით, რომ აქ უხვადაა თავმოყრილი საინფორმაციო მასალები, პირველად იბეჭდება 1981 წლის თბილისის „დინამოს" დღემდე უცნობი ფერადი ფოტოსურათი, აგრეთვე 1964 წლის „დინამო", ჩვენი გუნდის წლევანდელი შემადგენლობის (განაცხადების მიხედვით) ფოტოსურათები, ამონაწერი „დინამოს" საფეხბურთო კლუბის დებულებიდან, სტადიონის ტრიბუნების მაკეტი, 52-ე ჩემპიონატის კალენდარი და ა. შ.. პროგრამაში ჩართულია აგრეთვე სალაღობო და სარეკლამო გვერდები და, რაღა თქმა უნდა, აქვე გაეცნობით დღევანდელ მეტოქეთა შემადგენლობას.

პროგრამა, რომლის შემდგენელია ჟურნალისტი ოლეგ გველესიანი, ფერებშია დაბეჭდილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში, ღირს 35 კაპიკი.

# „მინი" პოპულარული ხდება

**დღეს** უკვე აღარავის აეჭვებს მინიფეხბურთის პოპულარობა. ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძვლად გამოდგებოდა თბილისის საერთაშორისო ფესტივალიც, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს და რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტის გულშემატკივრები დიდად ემადლიერებიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ასეთი მიმზიდველი ტურნირის ჩატარებისათვის. მაინც რით არის ეს ასპარეზობა საინტერესო? ალბათ, პირველ ყოვლისა ორთაბრძოლების დაძაბულობითა და იმ გამოუცნობადობით, რითაც ფეხბურთი გამოირჩევა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ მოულოდნელი შედეგის ფაქტორი აქ უფრო მეტია და მთავარიც ეს უნდა იყოს. დიახ, ყოველგვარი პროგნოზი მინიფეხბურთში ძალზე სარისკო რამ არის. თბილისის ტურნირში ამის მაგალითები, რომ იტყვიან, საჭიროზე მეტიც არის. ეს საფრთხე უფრო მატულობს, როცა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება და გამარჯვების პრეტენდენტთა წრე სულ უფრო ვიწროვდება. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ბაქოს გუნდი, რომლის წევრები იქაური „ნეფთჩის" გუშინდელი მოთამაშეები არიან, ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით — 2:5 დამარცხდებოდა მეოთხედფინალში სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა კოლექტივთან. დიახ, შიხლაროვის, სმოლნიკოვისა და სხვათა მაღალი ოსტატობა ვერაფერს გახდა ბულგარელთა მოულოდნელი გარღვევები რომ ალაგმულიყო და უკვე თამაშის მეექვსე წუთზე ბულგარელებს ანგარიში მიჰყავდათ 2:0. ტაიმის დასასრულისათვის კი შედეგი 4:0 იყო. შესვენების შემდეგ მეტოქის ერთ ბურთს სმოლნიკოვმა ორით უპასუხა და ბაქოელები დამარცხდნენ — 2:5. ამ დღეს კიდევ ერთი მოულოდნელობა ის გახლდათ, რომ სოხუმელებმა შეხვედრის ბოლომდე, როცა ანგარიში საყაიმო (1:1) იყო ბათუმის „ხიხანთან", უკანასკნელ წუთზე გამოსტაცეს გამოცდილ მეტოქეს გამარჯვება. ეს შეძლო გეთიამ, რომელსაც ორივე ბურთი ეკუთვნის.

ერევნელებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0 სძლიეს კიევის „მეტროპოლიტენს", ხოლო თბილისის „ოქროსუბანმა" პოზნანელი (პოლონეთი) ფეხბურთელები დაამარცხეს —6:3. მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი ანგარიშისა, მასპინძლებს საკმაო წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდათ ამ შეხვედრაში. ეს მეორე ტაიმში მოხდა — „ოქროსუბანს" მიჰყავდა რა შეხვედრა 4:1, საქმე უკვე გაკეთებულად ჩათვალა და მოადუნა ყურადღება, რაც მეტოქემ არ აპატია და უმალ გაქვითა ორი გოლი, რითაც მიზანსაც მიუახლოვდა. თბილისელებმა ძალთა დაძაბვით შეძლეს დამატებით ორი ბურთის გატანა და განიმტკიცეს წარმატება.

გუშინ ტურნირზე გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებიც ასე დასრულდა: სოხუმი-ბულგარეთი 2:0, თბილისი-ერევანი 1:0.

დღეს სპორტის სასახლეში შედგება ორი მატჩი. ჯერ გაიმართება შეხვედრა მესამე ადგილისათვის, შემდეგ კი ფინალი, რომელიც ფესტივალის გამარჯვებულსა და მეორე ადგილის მფლობელს გამოავლენს.

**ჰ. უნგიაძე.**

**სურათზე: გარღვევაზეა რევაზ ჩელებაძე.**



# დ. მ. იოსელიანის დამკრძალავი კომისიისაგან

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. მ. იოსელიანის დამკრძალავი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე (გოგებაშვილის, 1) 11 მარტს, 20 საათზე. გამოსვენება ბინიდან 12 მარტს 16 საათზე. დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

დ. მ. იოსელიანის დაკრძალვასთან დაკავშირებულ თანხებს სახელმწიფო გაიღებს.

## ინფორმაცია

**საბჭოთა** კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი ევროპის ჩემპიონატზე დახურულ დარბაზში, რომელსაც ესპანეთის ქალაქი ლა-კორუნია მასპინძლობს. მან პირველ შეხვედრაში სძლია ავსტრიელებს. ლვოველმა ი. კროჩკომ მოუგო თომას ბუახმაიერს — 4:6, 6:2, 6:2. უფილმა ა. ჩერკასოვმა — იან პრილერს — 6:2, 6:4. ა. ჩერკასოვ — ვ. გაბრიჩიძის წყვილმა დაამარცხა ბუახმაიერი და პრილერი — 6:2, 6:4.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

—საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტული კლუბის სპორტის წყლის სახეობებისა და სპორტის ზამთრის სახეობების განყოფილებათა გამგეები, სპორტის წყლის სახეობების განყოფილების უფროსი ინსტრუქტორები.

— რესპულიკური საბჭო სპორტულ კლუბ „ბურევესტნიკის" უფროსი ინსტრუქტორი და ინსტრუქტორი.

განცხადებები მიიღება 25 მარტამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №95, ტელ: 95-16-85, 95-36-01; თბილისი, ა. წერეთლის გამზირი, №95-ა, ტელ. 35-04-61, 34-80-67.

# ვ. ხლუსი და ი. პონომარიოვი — უცხოეთში

კიდევ ორი საბჭოთა ფეხბურთელი ითამაშებს უცხოეთის კლუბებში.

ვიქტორ ხლუსი, რომელიც ჯერ კიევის „დინამოში", მერე კი ლანჩხუთის „გურიაში" გამოდიოდა, შვეციას გაემგზავრა, იგი გეტებორგის „გაზსის" შემადგენლობაში გამოვა.

ასევე შვეციის კლუბ „ნორჩეპინგში" გადავიდა ბაქოელი ფეხბურთელი ი. პონომარიოვი.

ორივე სპორტსმენის კონტრაქტი თითო წელია. ხელშეკრულების ძალით შვეციის კლუბებში ყოველგვარ მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობენ, რაც დაკავშირებულია ვ. ხლუსისა და ი. პონომარიოვის ოჯახებით ამ ქვეყანაში გასამგზავრებლად.

## სსრ კავშირის თასზე

**7 მარტს** ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ნეფთჩისა" და მინსკის „დინამოს" შორის. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 2:0 (1:0), ორივე ბურთი გაიტანა შალიმომ.

მინსკის დინამოელები 1988-89 წლების საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ.

# „სმენას" პრიზი პირველ ნაკრებს

**დასავლეთ** საქართველოს რაიონებში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, ჟურნალ „სმენას" პრიზზე. ფინალურ მატჩში, რომელიც გაიმართა 9 მარტს სამტრედიის „ლოკომოტივის" სტადიონზე, ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის პირველმა ნაკრებმა. მესამე ადგილი წილად ხვდათ ქართველ ჭაბუკებს, რომლებმაც პენალტებით უკრაინელ თანატოლებს სძლიეს—4:2.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ... უე 07140